

ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს მთავრობა

შპს „საგურამო ენერჯი“

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“

თბილისი



წარმოდგენილი ურთიერთგაგების მემორანდუმი დადებულია 24 მარტი, 2015 წ. შემდეგ მხარეებს შორის:

ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ,

მეორე მხრივ, შპს „საგურამო ენერჯი“ (შემდგომში „საპროექტო კომპანია“), საიდენტიფიკაციო კოდი: 206337007, წარმოდგენილი დირექტორის, მელსიკ აკობიანის მიერ,

მესამე მხრივ, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო კოდი: 203826002, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, გიორგი ცხადაძის მიერ,

დებენ წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმს (შემდგომში „მემორანდუმი“) შემდეგზე:

I - განმარტებები

- წინამდებარე მემორანდუმში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
 - 1.1. „დღე/დღეები“ ნიშნავს კალენდალურ დღეს/დღეებს.
 - 1.2. „ელექტროსადგური“ ნიშნავს მემორანდუმის დანართი N1-ით განსაზღვრულ ჰიდროელექტროსადგურს - „საგურამო ჰესი“.
 - 1.3. „ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლა“ ნიშნავს კვლევებს/ანგარიშებს, რაც ადასტურებს პროექტის ტექნიკურ, ეკონომიკურ და ფინანსურ მიზანშეწონილობის საკითხებს.
 - 1.4. „სამინისტრო“ ნიშნავს საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს.
 - 1.5. „მხარეები“ ნიშნავს მთავრობას, კომპანიას და საპროექტო კომპანიას ერთობლივად.
 - 1.6. „პროექტი“ ნიშნავს ელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლას, მშენებლობას, ფლობასა და ოპერირებას.
 - 1.7. „სახელმწიფო“ ნიშნავს საქართველოს.

II - მიზანი

- მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს კომპანიის/საპროექტო კომპანიის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ამ მემორანდუმით განსაზღვრული პირობებით და ვადებში პროექტის განხორციელება.

III - საშენებლო ფაზა

- საშენებლო ფაზა იწყება წინამდებარე მემორანდუმის ხელმოწერის დღიდან და სრულდება ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების ფაქტობრივ დღეს, მაგრამ არაუგვიანეს მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ვადისა.
- საშენებლო ფაზაში კომპანია/საპროექტო კომპანია ვალდებულია:
 - 4.1. სამინისტროს წარუდგინოს ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის სრულყოფილი კვლევა;

- 4.2. მოიპოვოს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ან/და პროექტის არეალში მოქცეულ მიწებზე შესაბამისი უფლებები;
 - 4.3. მიიღოს შესაბამისი მშენებლობის ნებართვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში, მემორანდუმის პირობების გათვალისწინებით უზრუნველყოს მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანა);
 - 4.4. მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადაში, მშენებლობის ნებართვის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაიწყოს ელექტროსადგურის მშენებლობა;
 - 4.5. მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადაში ექსპლუატაციაში მიიღოს ელექტროსადგური;
 - 4.6. უზრუნველყოს პროექტის ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო ფულადი სახსრების მოზიდვა;
 - 4.7. უზრუნველყოს მშენებლობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უსაფრთხოების, გარემოსდაცვითი და სხვა მოთხოვნების შესაბამისად.
 - 4.8. საკუთარი ხარჯით, უზრუნველყოს მთავრობის, სამინისტროს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ან/და სხვა ნებისმიერი უფლებამოსილი სახელმწიფო დაწესებულების სრული და თავისუფალი წვდომა ელექტროსადგურის სამშენებლო პროცესის მონიტორინგის მიზნით;
 - 4.9. მთავრობის შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს სამშენებლო მასალების ხარისხისა და უსაფრთხოების მონიტორინგი.
5. კომპანიის/საპროექტო კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დასრულების და ექსპლუატაციაში მიღების ვადების დარღვევა გამოიწვევს კომპანიის/საპროექტო კომპანიის დაჯარიმებას თითოეულ დარღვეულ ვადაზე 500.00 აშშ დოლარის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან კომპანია/საპროექტო კომპანია ვალდებულია, დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს სამინისტროსაგან წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 15 დღის განმავლობაში.

IV - ელექტროენერჯის რეალიზაცია

6. ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან ათი („საწყისი ექსპლუატაციის პერიოდი“) წლის განმავლობაში, ყოველი წლის ზამთრის თვეებში (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, თებერვალი და მარტი („ზამთრის თვეები“) ელექტროსადგურის წლიური გამომუშავების 20%-ის ექსკლუზიური რეალიზაცია უნდა განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს შიდა მოხმარების უზრუნველსაყოფად საპროექტო კომპანიის არჩევნით საქართველოში არსებულ ნებისმიერ მყიდველზე თავისუფალ (დერეგულირებულ) ფასად. აღნიშნული პერიოდის გარდა საპროექტო კომპანია უფლებამოსილია, განახორციელოს გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია (ადგილობრივ ბაზარზე ან/და

ექსპორტზე) საკუთარი შეხედულებისამებრ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

V - მემორანდუმის გაუქმება/შეწყვეტა

7. მთავრობა უფლებამოსილია, ცალმხრივად, საპროექტო კომპანიისთვის 60 დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს მემორანდუმი შემდეგ შემთხვევებში, თუ:
 - 7.1. კომპანიის/საპროექტო კომპანიის მიერ დარღვეულია წინამდებარე მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ვადები საერთო ჯამში 100 დღეზე მეტი ვადით;
 - 7.2. კომპანიამ/საპროექტო კომპანიამ უარი თქვა პროექტის განხორციელებაზე;
 - 7.3. კომპანიამ/საპროექტო კომპანიამ არსებითად დაარღვია მემორანდუმის ან/და მისი დანართების ნებისმიერი პირობა, რის შედეგადაც, მემორანდუმი კარგავს მის თავდაპირველ მნიშვნელობას;
8. მთავრობის მიერ მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:
 - 8.1. პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწებზე უფლებები (მათ შორის საკუთრების უფლებები) გადაეცემა სახელმწიფოს უსასყიდლოდ;
 - 8.2. კომპანიას/საპროექტო კომპანიას ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება;
 - 8.3. კომპანიის/საპროექტო კომპანიის ხელთ არსებული ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ანგარიშისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების, ისევე როგორც, პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტების და ნახაზების (მათ შორის კომპანიის მიერ შემუშავებული დოკუმენტების) გამოყენების ექსკლუზიური უფლება გადაეცემა მთავრობას.
9. საპროექტო კომპანია უფლებამოსილია, ცალმხრივად, მთავრობასთან 60 დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს მემორანდუმი, თუ მთავრობა არსებითად დაარღვევს მემორანდუმით ნაკისრ ვალდებულებებს.
10. კომპანიის/საპროექტო კომპანიის მიერ მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:
 - 10.1. პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწებზე უფლებები (მათ შორის საკუთრების უფლებები) გადაეცემა მთავრობას უსასყიდლოდ. ამასთან კომპანია/საპროექტო კომპანია უფლებამოსილია, დემონტაჟი გაუკეთოს პროექტის ფარგლებში არსებულ მოძრავ ქონებას;
 - 10.2. კომპანიას/საპროექტო კომპანიას ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება;
 - 10.3. კომპანიის/საპროექტო კომპანიის ხელთ არსებული ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ანგარიშისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების, ისევე, როგორც პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტების და ნახაზების (მათ შორის კომპანიის



მიერ შემუშავებული დოკუმენტების) გამოყენების ექსკლუზიური უფლება გადაეცემა მთავრობას.

VI - მთავრობის ვალდებულებები

11. მთავრობა ვალდებულია:

- 11.1. თავისი კომპეტენციის ფარგლებში მაქსიმალური დახმარება გაუწიოს კომპანიას/საპროექტო კომპანიას პროექტის განხორციელების პროცესში, მათ შორის საჭირო ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ კომპანია/საპროექტო კომპანია სრულად დააკმაყოფილებს ამ მიზნით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- 11.2. პროექტის განხორციელების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შესაბამისი მიწის ნაკვეთ(ებ)ის კომპანიისათვის/საპროექტო კომპანიისათვის კანონმდებლობით დადგენილ წესით გადაცემას.

VII - მემორანდუმის ცვლილება

12. ცვლილებები

- 12.1. წინამდებარე მემორანდუმის ცალკეული დებულება შეიძლება შეიცვალოს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე
- 12.2. თუ ამ მემორანდუმის ნებისმიერი დებულება დაკარგავს ძალას, ეს არ იქონიებს გავლენას სხვა დებულებებზე.

VIII - მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავის გადაწყვეტა

13. მემორანდუმი დადებულია და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
14. ყველა დავა, რომელიც წარმოიშვება წინამდებარე მემორანდუმთან დაკავშირებით, გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

IX - ფორს-მაჟორი

15. ფორს-მაჟორი ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, რომელიც ორივე მხარის გონივრული კონტროლის მიღმაა და მისი წარმოქმნის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო მემორანდუმის დადების მომენტისათვის, მათ შორის: ომი, ამბოხი, აჯანყება, შეიარაღებული კონფლიქტი, უცხოური მოწინააღმდეგის მიერ ჩადენილი მტრული ქმედება, ბლოკადა, ემბარგო, ტერორისტული აქტი, საბოტაჟი, სამოქალაქო არეულობა, რადიაცია, ბიოლოგიური ან ქიმიური დაბინძურება, იონიზებული რადიაცია, აფეთქება, ხანძარი, ეპიდემია, ციკლონი, მეწყერი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ვულკანის ამოფრქვევა, სხვა სტიქიური ან ნებისმიერი უბედურება ან მსგავსი მოვლენა.
16. იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოება ხელს შეუშლის მემორანდუმით გათვალისწინებული ნებისმიერი მხარის ვალდებულების ან/და უფლებამოსილების



შესრულებას, აღნიშნული დარღვევა ჩაითვლება საპატიოდ და მეორე მხარეს არ ექნება უფლება შეწყვიტოს მემორანდუმი ამ საფუძვლით, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. აღნიშნულ შემთხვევაში მხარეთა მიერ ვალდებულებების ვადა გადაიწვეს ფორს-მაჟორული მოვლენების მოქმედების ვადის შესაბამისად.

17. იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოება გრძელდება 1 წელზე მეტი ვადით, ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინემდებარე მემორანდუმი მეორე მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

X - დამატებითი დებულებები

18. წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისთვის, კომპანიის ვალდებულება წარმოადგენს საპროექტო კომპანიის ვალდებულებას და პირიქით.

19. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.

20. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, სამ თანაბარუფლებიან ეგზემპლარად.

XI - ხელმოწერები

საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე

შპს „საგურამო ენერჯი“

მელისაჯვარი

შპს „ჯორჯიან უოთერს ანდ ფაუნტი“

გიორგი ცხადაძე



[Handwritten signature]


დანართი N1

#	ჰიდროელექტროსადგურის დასახელება	ადგილმდებარეობა	მდინარის ნიშნულები (მ.ზ.დ.)		წლიური გამომუშავება	სიმძლავრე
1	საგურამო ჰესი	ბოდორნა-თბილისის სასმელი წყლის წყალსადენი	617,3	502,0	36,35 მლნ.კვტ.სთ.	4,2 მგვტ.

დანართი N2

სამშენებლო ფაზა	
სამშენებლო ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყება	ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში მიღება
4 თვე მემორანდუმის ხელმოწერის დღიდან	24 თვე მემორანდუმის ხელმოწერის დღიდან





საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010190847249914

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel. 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№10211

21 / ნოემბერი / 2014 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,


საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ 2014 წლის 14 ნოემბრის №04/4198 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, შპს „საგურამო ენერჯისა“ და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი და გაცნობებთ, რომ საკითხი შპს „საგურამო ენერჯისა“ და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდსის“ საბანკო გარანტიის არმოთხოვნის თაობაზე უნდა გადაწყდეს მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

პატივისცემით,

გ. ლორთქიფანიძე

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე



საქართველოს მთავრობის განკარგულება


N2415 2014 წლის 24 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას შპს „საგურამო ენერჯის“ და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდს“ შორის დასაადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „საგურამო ენერჯის“ და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდს“ შორის დასაადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი.
2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ურთიერთგაგების მემორანდუმს, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა, კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი

ნ.



ირაკლი დარიბაშვილი



ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B14087110, 03/09/2014 10:24:48

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო ნომერი: 203826002

რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 4/4-1171; 25/06/1997

მარეგისტრირებელი ორგანო: მთაწმინდის რ-ნის სასამართლო

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისი რაიონი, კოსტავას I შეს., №33

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: Info@georgianwater.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

რეორგანიზაციის ისტორია

რეორგანიზაციამდე არსებული სუბიექტი	ოპერაცია	რეორგანიზაციის შედეგად რეგისტრირებული სუბიექტი	თარიღი
შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი (203826002)	გამოყოფა	ჟინვალჰესი (204431622)	18/12/2001
ჟინვალჰესი (204431622)	შერწყმა	შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი (203826002)	14/05/2003

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარიობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- გენერალური დირექტორი - 01008002195, გიორგი გაჩეჩილაძე

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
1425971, შპს ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ , ვირჯინიის კუნძულები (ბრიტ.), , ,	100.000000000%	

ვალდებულება

ვალდებულების ტიპი: წილზე საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულება
კრედიტორი: 203840433, სახელმწიფო
კრედიტორი: 204521794, სახელმწიფო ორგანო ქ.თბილისის მერია
მესაკუთრე: 1425971, შპს ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ , ვირჯინიის კუნძულები (ბრიტ.), , ,
საგანი: შპს ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ , ვირჯინიის კუნძულები (ბრიტ.) 100% წილი 2008 წლის 14 მაისის (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №1-4348) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.
საფუძველი: #1-4348, წილის გასხვისების ხელშეკრულება, ნოტარიუსი ციური ბერიძე, 14/05/2008

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის



ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 744788
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B14044074
ამონაწერის მომზადების თარიღი: 23/04/2014 17:13:45

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს საგურამო ენერჯი
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონი, კოსტავას I შესახვ., №33
ელექტრონული ფოსტა: ntordia@yahoo.com
საიდენტიფიკაციო კოდი: 206337007
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 11/12/2008
მარეგისტრირებელი ორგანო: თბილისის საგადასახადო ინსპექცია
საგადასახადო ინსპექცია: თბილისის რეგ.ცენტრი ძველი თბილისის გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 72 28249668, , მელსიკ აკობიან, რუსეთის ფედერაცია, გენერალური დირექტორი, ,

პარტნიორები

მფლობელი	წილი	წილის მმართველი
54921783, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება Tara International B.V., ნიდერლანდები, , 20.03.2012,	100.00000000%	

ვალდებულება

გირავნობა